საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1262 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 159-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში – დეპარტამენტი) 2019-2020 წლებში უზრუნველყოს ქალაქ ჭიათურაში, საჩხერის გზატკეცილზე, ყოფილი „პრესის სახლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მნიშვნელობის ქალაქ ჭიათურის ცენტრის ასაქცევ საავტომობილო გზაზე (ჯარბელის დასახლება), მდინარე

ყვირილაზე მდებარე სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

2. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა 2019 წელს განახორციელოს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დეპარტამენტისათვის „საავტომობილო გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ხოლო 2020 წელს - შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

3. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს/შეისყიდოს დეპარტამენტსა და შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებული/ამ განკარგულების გამოცემის შემდეგ ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

4. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოებისთვის საჭირო საზედამხედველო მომსახურება განახორციელოს დეპარტამენტსა და შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებული, სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში.

5. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება განახორციელოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით და სამუშაოები, მათი დასრულების შემდგომ, გადაეცეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას.

6. ეთხოვოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების მიღების პროცესში მონაწილეობა და სამუშაოების დასრულების შემდგომ მათი მიღება.

7. დაევალოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის დაფინანსების მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიება, ხოლო 2020 წელს – სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს გათვალისწინება, დეპარტამენტის წინადადების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**